

შპს "უოლდვაიდ ენერჯი ლოჯისტიკს"

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4-5
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6-12

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

	შენიშვნები	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	323,336	85,583
სავაჭრო მოთხოვნები	7	290,775	526,371
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		-	10,596
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა		-	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	8	886	
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	66,463	53,900
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		681,460	676,450
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10	44,950	6,228
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	11	527	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		45,477	6,228
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	12	200	200
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		635,783	670,022
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი		635,983	670,222
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		681,460	676,450

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

	შენიშვნები	2018
ნეტო ამონაგები		4,396,669
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	3	4,395,889
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		780
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება		4,396,669
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება		(335,175)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21,908)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი		(7,119)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(3,754,919)
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,119,121)
საოპერაციო მოგება		277,548
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		10,710
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(6,707)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		281,551
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)		281,551
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		281,551

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		670,222
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	5	(315,790)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		281,551
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		635,983

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	222,509
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	222,509
სავალუტო კურსის ეფექტი	15,244
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	85,583
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	323,336

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უოლდვიდ ენერჯი ლოჯისტიკს“ (ს/ნ 205216871) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2007 წლის 1 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 12ა. კომპანიის ფიზიკური მისამართებია: 1) საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 12ა; 2) საქართველო, ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.24.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის გიორგი გოგიაშვილი (პ/ნ 01008004339). კომპანიის დირექტორი არის გიორგი გეწაძე (პ/ნ 01017008111). კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სატვირთო სატრანსპორტო მომსახურების გაწევას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ერთეულ ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხვერება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშევა. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებ მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	წლიური განაკვეთი (%)
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
ავტომობილები	20%

იჯარით აღებული ქონების რემონტის დანახარჯი 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და კომპანიის სალაროში არსებული ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული დებიტორული დავალიანება გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შენიშვნები:

3. ამონაგები

	<u>2018 წელი</u>
	ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	4,395,889
სხვა შემოსავალი	780

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2018 წელი</u>
	ლარი
ძირითადი ხარჯი - სატრანსპორტო მომსახურება	3,617,790
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	45,615
კომუნიკაციისა და ინტერნეტის ხარჯი	17,357
საწვავის ხარჯი	15,231
ვალუტის ყიდვა - გაყიდვის შედეგები	13,469
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	10,302
ბანკის საკომისიო	8,664
მივლინების ხარჯი	7,864
კომუნალური გადასახადები	5,127
კომპიუტერის ხარჯები	5,033
მანქანის ხარჯები	4,740
საკანცელარიო ხარჯი	2,002
ქონების გადასახადი	1,724
ჯამი	3,754,919

5. განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 315,790 ლარი, რომელიც გაიცა 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგებიდან და შესაბამისად არ დაბეგრილა მოგების გადასახადით.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,170	25,017
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	313,616	31,882
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5,550	28,684
	<u>323,336</u>	<u>85,583</u>

7. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	290,775	526,371
	<u>290,775</u>	<u>526,371</u>

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
გაუხარჯავი საწვავის თვითღირებულება	886	0
	<u>886</u>	<u>0</u>

9. ძირითადი საშუალებები

	ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების რემონტის დანახარჯი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,922	52,677	21,154	22,675	113,428
შემოსვლები	26,662	7,809	0	0	34,471
გასავლები	0	17,035	2,832	11,406	31,273
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43,584	43,451	18,322	11,269	116,625
ცვეთა/ამორტიზაცია					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,769	24,958	12,464	15,337	59,528
ცვეთის დანარიცხი	5,162	10,251	3,664	2,831	21,908
გასვლები	0	17,035	2,832	11,406	31,274
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,931	18,174	13,296	6,761	50,162
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,153	27,719	8,690	7,339	53,900
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,653	25,277	5,025	4,508	66,463

10. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	44,950	6,228
	<u>44,950</u>	<u>6,228</u>

11. საგადასახადო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ხაზინის ერთიანი ანგარიში (ქონება)	527	0
	<u>527</u>	<u>0</u>

12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 200 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 23 სექტემბერს.

შპს „უოლდვაიდ ენერჯი ლოჯისტიკს“-ის
დირექტორი: გიორგი გეწაძე


